

**ბათუმის ხელოვნების სასწავლო უნივერსიტეტი**  
**განათლების, ჰუმანიტარულ და სოციალურ მეცნიერებათა ფაკულტეტი**  
**ზოგადი დისციპლინების დეპარტამენტი**

<b>პროგრამის სახელწოდება</b>	<b>მუზეუმის თანამედროვე ტექნოლოგიები</b>
<b>სტრუქტურული ერთეული</b>	უწყვეტი განათლების ცენტრი
<b>კოდი</b>	CHF8
<b>პროგრამის მოცულობა ECTS</b>	60 კრედიტი: 1 კრედიტის მოცულობა - 25 სთ.
<b>სწავლების ენა</b>	ქართული
<b>სასწავლო პროცესის საკადრო უზრუნველყოფა</b>	<p>ერმილე მესხია - პროფესორი, განათლების, ჰუმანიტარულ და სოციალურ მეცნიერებათა ფაკულტეტის დეკანი.          მობ. 593 32 57 96. ელ ფოსტა: <a href="mailto:ermile_mesxia@mail.ru">ermile_mesxia@mail.ru</a></p> <p>სპეციალისტის მომზადების პროგრამის რეალიზაცია უზრუნველყოფილი იქნება ხელოვნების უნივერსიტეტის, ბათუმის ტურისტული დაწესებულებების მაღალკვალიფიციური კადრებით. სწავლების პროცესში ჩართული იქნებიან ქ. თბილისიდან და უცხოეთიდან მოწვეული სპეციალისტები.</p>
<b>პროგრამის მიზანი</b>	<p>პროგრამის მიზანია მსმენელმა მიიღოს კვალიფიციური ცოდნა მუზეუმის ახალ ტექნოლოგიებში. გაეცნოს უცხოეთისა და საქართველოს მუზეუმების გამოცდილებასა და მიღწევებს.</p> <p>წინამდებარე პროგრამის მომზადება განპირობებულია სამუზეუმო სისტემაში თანამედროვე ტექნოლოგიების დანერგვის აუცილებლობით. მუზეუმების წარმატებული საქმიანობა დამოკიდებულია ამ დარგში დამკვიდრებული მუშაობის ახალი ფორმებისა და მეთოდების გაცნობაზე, შესწავლაზე და ყოველი მუზეუმის პირობებისა და თავისებურებების გათვალისწინებით დანერგვაზე.</p> <p>სამუზეუმო საქმე სპეციალურ განათლებას მოითხოვს, რომლის შესწავლა ჰუმანიტარული მიმართულების საგანმანათლებლო პროგრამით არ არის გათვალისწინებული. საქართველოს მუზეუმებში დასაქმებული არიან კვალიფიციური, გამოცდილი სპეციალისტები, რომელთაც სპეციალური განათლება არ გააჩნიათ.</p> <p>სამუზეუმო დარგის სპეციალისტებთან კონსულტაციების შემდეგ ხელოვნების უნივერსიტეტმა მოამზადა დასახელებული პროგრამა.</p> <p>მუზეუმებში დასაქმებულ პირებს შესაძლებლობა ეძლევათ მოკლევადიანი კურსის გავლით მიიღონ ელემენტარული განათლება თანამედროვე ტექნოლოგიებში.</p> <p>მუზეუმის ახალი ტექნოლოგიების მოკლევადიანი საგანმანათლებლო პროგრამა შედგენილია უცხოეთისა და საქართველოს მუზეუმების კვალიფიციურ სპეციალისტთა მიერ მომზადებული თეორიული კვლევებისა და რეკომენდაციების გათვალისწინებით. პროგრამის დისციპლინები შერჩეულია იმ პრინციპით, რომ მსმენელმა სრული ინფორმაცია და ელემენტარული ცოდნა მიიღოს სამუზეუმო ტექნოლოგიებში. მსმენელი ვალდებულია პროგრამით გათვალისწინებული ყველა საგანი აითვისოს, თეორიული კურსის დასრულების შემდეგ გაიაროს ტესტირება და პრაქტიკა.</p>
<b>დაშვების წინაპირობა</b>	სრული ზოგადი განათლება
<b>ცოდნის შეფასების სისტემა</b>	<p>მსმენელი ფასდება 100 ქულიანი სისტემით, სადაც შუალედურ შეფასებას ეთმობა 60% (0-60 ქულა), ხოლო დასკვნით გამოცდას 40% (0-40 ქულა).</p> <p>სტუდენტი ვალდებულია შუალედურ შეფასებაში დააგროვოს არანაკლებ 21 ქულისა (0-20 ქულა „ჩაიჭრა“), წინააღმდეგ შემთხვევაში იგი გამოცდაზე არ დაიშვება.</p> <p>დასკვნითი გამოცდა - მინიმალური კომპეტენციის ზღვარი - 20 ქულა (0-19 ქულა „ჩაიჭრა“).</p> <p>სტუდენტს სასწავლო კურსი ათვისებულად ჩაეთვლება თუ ის მიიღებს ერთ-ერთს შემდეგი დადებითი შეფასებიდან:</p>

	<p>დადებითი შეფასება:</p> <p>(A) ფრიადი – მაქსიმალური შეფასების 91-100 ქულა;</p> <p>(B) ძალიან კარგი – მაქსიმალური შეფასების 81-90 ქულა;</p> <p>(C) კარგი – მაქსიმალური შეფასების 71-80 ქულა;</p> <p>(D) დამაკმაყოფილებელი – მაქსიმალური შეფასების 61-70 ქულა;</p> <p>(E) საკმარისი – მაქსიმალური შეფასების 51-60 ქულა;</p> <p>ორი სახის უარყოფითი შეფასება:</p> <p>(FX) ვერ ჩააბარა – მაქსიმალური შეფასების 41-50 ქულა, რაც ნიშნავს, რომ მსმენელს ჩასაბარებლად მეტი მუშაობა სჭირდება და ეძლევა დამოუკიდებელი მუშაობით დამატებით გამოცდაზე ერთხელ გასვლის უფლება;</p> <p>(F) ჩაიჭრა – მაქსიმალური შეფასების 40 ქულა და ნაკლები, რაც ნიშნავს, რომ მსმენელის მიერ ჩატარებული სამუშაო არ არის საკმარისი და მას საგანი ახლიდან აქვს შესასწავლი.</p> <p>მსმენელი “ჩაიჭრა“ შეფასებას ღებულობს აგრეთვე:</p> <p>ა) თუ ის არ იქნა დაშვებული დასკვნით გამოცდაზე;</p> <p>ბ) ჩაიჭრა დასკვნით ან შესაბამის დამატებით გამოცდაზე.</p> <ul style="list-style-type: none"> <li>• FX-ის ან დასკვნით შეფასებაში „ჩაიჭრა“ -ს მიღების შემთხვევაში დამატებითი გამოცდა დაინიშნება დასკვნითი გამოცდის შედეგების გამოცხადებიდან არანაკლებ 5 დღეში.</li> <li>• შეფასების კონკრეტული მეთოდები და კრიტერიუმები გაწერილია სასწავლო კურსების სილაბუსებში.</li> </ul>
<b>სწავლებისა და სწავლის მეთოდები</b>	<p>ევრისტიკული მეთოდი; ახსნა-განმარტებითი მეთოდი; დემონსტრირების მეთოდი; - პრაქტიკული მეთოდები; დისკუსია/დებატები; ჯგუფური მუშაობა; ქმედებაზე ორიენტირებული სწავლება; პრეზენტაცია; სტუდენტთა აქტივობები: ლექციაზე დასწრება, ჯგუფში მუშაობა, პრაქტიკულ მუშაობაში მონაწილეობა; პრეზენტაციის მომზადება; დამოუკიდებელი მეცადინეობა; პრაქტიკა; წყაროზე და ტექსტებზე დამოუკიდებელი მუშაობა; ინტერნეტ-რესურსების დამოუკიდებლად მოძიება; გამოცდების მომზადება-ჩაბარება;</p> <ul style="list-style-type: none"> <li>• სალექციო და ჯგუფში მუშაობის საათების განაწილება მითითებულია სასწავლო კურსის სილაბუსებში.</li> </ul>
<b>ჯგუფში მსმენელთა რაოდენობა</b>	სასწავლო კურსის გავლა შეიძლება ინდივიდუალურად ან ჯგუფთან ერთად.
<b>სწავლის საფასური</b>	<p>სწავლის საფასური განისაზღვრება საათის ღირებულების მიხედვით.</p> <p>1 აკადემიური საათი 15 ლარი. ჯგუფთან ერთად კურსის გავლის შემთხვევაში 1 აკადემიური საათის ღირებულება შეიძლება განისაზღვროს დადგენილ ნორმაზე ნაკლები ოდენობით.</p>
<b>კურსის გავლის დამადასტურებელი მოწმობა</b>	<b>სასწავლო პროგრამის დასრულების შემდეგ გაიცემა სერთიფიკატი</b>

### სასწავლო პროცესების სტრუქტურა

კოდი	სასწავლო კურსის დასახელება	კრედიტი	საათების რაოდენობა		
			სულ	საკონტ.	დამოუკ.
CHF8c-1	მუზეუმის თანამედროვე ტექნოლოგიები	4	100	40	60
CHF8c-2	საზოგადოებასთან მუშაობის თანამედროვე პროგრამები	2	50	20	30
CHF8c-3	სამუზეუმო კანონმდებლობა და ნორმატიული აქტები	2	50	20	30
CHF8c-4	IT ტექნოლოგიები	2	50	20	30
<b>სულ</b>		<b>10</b>	<b>250</b>	<b>100</b>	<b>150</b>